ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

ბრძანება:**ბ29. 29233403**

თარიღი:**06/12/2023**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის (საქმისწარმოების საკითხებში) თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტისა და საჯარო სამსახურის შესახებ"საქართველოს კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად **ვბრძანებ:**

მუხლი 1. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის (საქმისწარმოების საკითხებში) თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი. წერეთლის ქ. №7) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM

დანართი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის (საქმისწარმოების საკითხებში) თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

მუხლი 1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის (საქმისწარმოების საკითხებში) თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- ევროპული ქარტია ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ";
- საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი";
- საქართველოს კანონი ,,საჯარო სამსახურის შესახებ";
- საქრთველოს კანონი ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი";

2. სასურველი უნარ-ჩვევები:

- გუნდური მუშაობის უნარი;
- დეტალებზე ორიენტირება;
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- ინფორმაციის შეგროვების (და გაცემის) უნარი;

მუხლი 2. დანართის პირველი მუხლით გათვალიწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად კანდიდატს მოეთხოვება:

ა) სრული ზოგადი განათლება;
ბ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Offisse Word, Microsoft Offisse Excel) კარგ დონეზე ცოდნა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი